№ 56 1877—1897 № 56

კვირა, 23 მარტი 1897 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 10 | — | 6 | 6 | — |
| [illegible] | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| [illegible] | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

კვირა, 23 მარტი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქართული თეატრი

ოთხშაბათს 26 მარტს,

ქართულის დრამატიული დასის არტისტების მიერ, სცენარიუსის ა. თამაზიშვილის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება

I

მზის დაბნელება საქართველოში

კომ. 3 მოქ. თხზ. ანტონოვისა.

II

დაკარგული ქალი

კომ. 1 მოქ. კ. ყიფიანისა.

დასასრულ ლოტერეი

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კრქეზიშვილისა, ნიკოლაშვილისა, ჩეულოვისა, კუნდელი. ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. — დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ф. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ-მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. მუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. მუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

---

ტფილისი, 22 მარტი

ჩვენს მეთაურში *) ამას წინად ვთქვით, რომ სომხობამ შეიკრა მარტოკამ თავი ქალაქის თვით-მართველობაში და თითქმის სხვა არავინ მიიკარაო. ამას ისიც დავუმატეთ, რომ ასე ცალკედ გასვლა სომხებისა არ არის გამოწვეული ქალაქის საჭიროებისათვის მოწყობილ პროგრამისაგან. თუ ვცდებით, აბა ერთი გვაჩვენონ რა პროგრამამ ქალაქის მოვლა-პატრონობისამ შეჰკრა და შეჰბოჭა აქაური სომხობა ერთად? ეს ამბავი რომ პროგრამისაგან იყოს, გასვლა-გამოსვლა ქალაქის მკვიდრთა და დას-რაზმობად დაწყობა პროგრამის ნიადაგზე მოხდებოდა და მაშინ ესა, თუ ის პროგრამა, ქალაქის მოვლა-პატრონობის შესახები, უეჭველად კარს გაუღებდა ბევრს სხვა თესლის მკვიდრთაც ქალაქის თვით-მართველობისას.

პროგრამა არსად არის. ის ამბავი-კი, რომ სომხობა მარტო გავიდა ცალკე და სხვა არავინ შეუშვა ქალაქის საბჭოში, ყველას თვალ წინ გვიდგა. ნუ თუ ამ გარემოებათა მნახველს საბუთი არა აქვს სთქვას, რომ არჩევანებში, რომელმაც ასე ცალკე თავი მოუყარა მარტო სომხობას ქალაქის მოვლა-პატრონობის საქმეში, მოქმედებდა მარტო ის, რომ მე სომეხი ვარ, შენ არა და შორს ჩემგანაო?

ამ სახით თვითონ სომხობამ ააფრიალა ჩვენში დროშა სომეხის სახელითა, დროშა თავისის ეროვნებისა და სხვამ არავინ. რომ ეს ასეა, ამას კიდევ ბევრი სხვა საბუთი აქვს, რომელსაც ხელთ გვაძლევენ თვითონ სომხები აქაურ რუსულ გაზეთების პირითა. ეს გაზეთები პირდაპირ გვეუბნებიან: ქალაქი ტფილისი ჩვენიაო. ეს რა თქმაა? ეს ის არის, რომ, რაკი ქალაქი ჩვენია, აქ სხვას არავის ხმა არ ამოეღება ჩვენს მეტსაო. თუ ესე არ არის, — „ქალაქი ჩვენია"-ო რის მაქნისი საბუთი-ღაა? ტყუილად დაცლილი ყუმბარა იქნება და სომეხი, — ხომ მოგეხსენებათ, — ტყუილ ყუმბარისათვის ტყუილად ხარჯს არ გასწევს, ყაირათიანი კაცია. მართალია, თანაც გვეფიცებიან, ჩვენ აქ ეროვნების ფეხზე არ ვაყენებთ საქმესაო, მაგრამ რაკი ამასთან იძახიან, ქალაქი ჩვენიაო, სომხებს ისე მოსდით, როგორც ურიას, რომელსაც ეუბნებიან: ურიავ, ღმერთს ნუ ჰფიცავო, და არა, ღმერთმან იცისო.

დავანებოთ თავი ამ ბაშვის მოსატყუებელს კრიმანჭულს ფიცსა და ერთი ეს ვიკითხოთ: ქალაქი ტფილისი, მართლა, იმათი-კია? ვინ მოახსენათ? სტყუიან, ტყუილად იქადიან, ტყუილად ჰჩემულობენ. ტფილისში მარტო სახლებია იმათი, თუ რამ არის, ქალაქი-კი ნურას უკაცრაოდ, ვერ მივართვით.

ქალაქი ტფილისი ჯერ რუსეთისაა და მერე საქართველოსი. პოლიტიკური და გეოგრაფიული კუთვნილება ერთია და კერძო საკუთრება სულ სხვა. ამათ შუა დიდი მანძილია და ეს ცხვირზედ კარგად უნდა დაიჭდიონ მაღა გაღვიძებულმა სომხებმა. მაშ ნახიჩევანიც სომხების ქალაქი იქნება და არა რუსეთისა და, თუ არ დაუშლიათ, ზოგი რუსეთსაცა ჰკითხონ. ბერდიჩევში 10,777 რუსია და 62,000 და კიდევ მეტიც ებრაელია, მაშ ეს ქალაქიც ებრაელებისა ყოფილა და არა რუსისა და

*) იხ. „ივერია" № 53.

---

# ფელეტონი

## ნაწყვეტი

ერთხელ, ძმაო, წმინდა პური
აზნაურებსა ჰყვარობდა,
გლეხს ქერი-პური არჩობდა,
ქვეყნის გაჩენას ნანობდა.
დადგა დრო, „კეთილშობილებს"
მჟადიც აღარა სწყალობდა,
გლეხი დამტკიცულს ჰქუმსავდა,
ქეიფობდა და მთვრალობდა...

დ. მაჩხანელი

---

## ვისი ბრალია?

წერილი მეორე.

როგორც შევნიშნეთ, შურისა და მტრობის მიზეზად საეკონომიო წარმატებას ასახელებენ. მაგრამ ამ წარმატების გამო საუბარსაც, ცოტა არ იყოს, ბაქიობა და ტრაბახი ეტყობა, — სომხების საეკონომიო ზრდა სწორედ საოცარიაო, და საყურადღებო უფრო კიდევ ის არის, რომ ეგეთი პროგრესი წარმოსდგა მხოლოდ პირადის შრომისა და ენერგიისაგან, უწყოდეთ ყველამ, რომ სომეხნი გულმოდგინედ იბრძვიანო. სრული სიმართლეა, რომ სომხებს შრომაც უყვართ და ენერგიაც დიდი აქვთ. ეს კიდევ ცოტა ვსთქვით. სომეხი თავგანწირვით ჰშრომობს, მედგრად ებრძვის ყოველ გვარ ხელ-შემშლელ გარემოებას, საეკონომიო სარბიელზედ დაბრკოლებას არ უფრთხის, მთელის თავისის ძალ-ღონით მიისწრაფის სიმდიდრის შესაძენად, მოსახვეჭად. ამასთანავე იგი მომჭირნეა, ყაირათიანია. ერთის სიტყვით, საეკონომიო ასპარეზზედ სომეხი სწორედ რომ ხასიათის პატრონია, ხოლო ესეთი თვისება დიდი ძალაა, — ბრძენთაგან ნათქვამია, ხასიათის პატრონი ერი ისტორიის მქმნელიაო. სომხების ასეთს საეროვნო ხასიათს დიდი გავლენა ჰქონდა იმათ აწინდელს საეკონომიო ზრდასა და წარმატებაზედ. მაგრამ აქ მარტო ეს მიზეზი არ ამოძრავებდა იმათ საეკონომიო ცხოვრებას, მარტო პირადს შრომასა და ენერგიას არ შეუძენია იმათთვის ქონება და სიმდიდრე. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ სომეხიც ყველასაგან დიდ პატივცემული იქმნებოდა, რადგანაც შრომა და ენერგია ისეთი მადლია, რომელიც ნებაუნებურად სხვა ერის გულს იტაცებს და იზიდავს. ეგეთი შრომა და ენერგია მეზობლისათვის ცხოველ მაგალითად გარდიქცეოდა, სადიდებელი და სათაყვანებელი შეიქმნებოდა. მაგრამ სომხების საეკონომიო წარმატებას ანდამატებრი მიმზიდველი ძალა არა აქვს და არც ჰქონია და ეს იმიტომ, რომ იგი წარმატება მარტო პირადის შრომისა და ენერგიის ნაყოფი არასოდეს არა ყოფილა. მაშ სად არის სხვა მიზეზი ამ წარმატებისა, სიმდიდრისა?

ძველადვე საქართველოში სომეხი ყველა შრომასა და ხელობაზედ ვაჭრობას უფრო მეტად აფასებდა. თითქმის თითოეულ ქალაქსა და დაბაში სომხის ხელთ იყო ალებ-მიცემობა. მოგეხსენებათ, რომ ქართველიკი მუდამ თოფის ქვეშ იდგა და საომრად იყო გამზადებული. ასეთმა გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი სომხების ეკონომიურად დაწინაურებას. მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინაც ეგეთს დაწინაურებას უკულმართობა თითქო თან დასდევდაო. სიგელებსა და გუჯრებში მრავალ მაგალითს შეხვდებით, რომ ტფილელ სომეხს სიმდიდრის მოსახვეჭად ხშირად უმართებულო და უკადრის ხელობისათვის მიუმართავს. მაგალითებრ, ასეთ ხელობად დასახელებულია მევახშეობა. ბევრჯელ მომხდარა, რომ მეფესა და ბატონიშვილსაც-კი დიდის სარგებლის მიცემით თუ გაუმართნია ხელი სომხისაგან.

დიაღ, მარტო პირადი შრომა და ენერგია არც უწინ ყოფილა სომხების სიმდიდრის ერთად-ერთი წყარო და რუსეთის ბატონობის დაარსების შემდეგ ხომ ეგ შრომა და ენერგია ნაკლებად შეიქმნა საჭირო. აუარებელი ფული დასჭირდა რუსეთს საქართველოში გამგეობის მოსაწყობად, წესისა და რიგის დასამყარებლად, ქვეყნის დასამშვიდებლად, მტრის შესამუსვრელად. რუსი და ქართველი ბრძოლის ველზედ სისხლსა ჰღვრიდნენ, სომეხი-კი საქონელსა და სურსათს ეზიდებოდა, იჯარადრობდა. მეტად სახეირო იყო ეს იჯარადრობა. აი აქედგან დაიწყო სომხების თვალთა მომხიბლავი ეკონომიური წარმატება, რომელიც სრულიადაც არ შეადგენს ერის ბუნებრივს, ორგანებრივს ზრდას და არც დაფუძნებულია მარტო ისეთს წმინდა საეკონომიო საფუძველზედ, როგორიც პირადი შრომა და ენერგიაა. ეს ზრდა უფრო იღბალმა და ისტორიულ გარემოებამ გამოიწვია, ვიდრე საეროვნო ძალამ. ამიტომაც სომხების საეკონომიო წარმატებას მკვიდრი და შეურყეველი საფუძველი არ მოეპოვება, მდაბიოდ რომ იტყვიან „იგი უფრო ქარის მოტანილია" და მისი მერმისი საეჭვოა, თუ მართლა პირადმა შრომამ და ენერგიამ თავისი ცხოველ-მყოფელი მადლი არა სცხო ამ ახოვანს, მაგრამ ფუყე ქმნილებას...

მაგრამ არც სომხების შრომა და ენერგია არის უნაკლო და უზადო. ამიტომაც ამ შრომასა და ენერგიას ვერ შეუძლიან სხვისთვის სახარბიელო და სანეტარო შეიქმნეს. მოგეხსენებათ, რომ შრომა ეკონომიური ღონეა და, ფიზიკურს ძალას გარდა, შეიცავს გონებრივსა და ზნეობრივსაც. საეკონომიო ურთიერთობაში უფრო დიდი პატივი სძევს ისეთს შრომას, რომელიც ზნეობრივს თვისებას მოკლებული არ არის. საკაცობრიო და საზოგადო პროგრესი სწორედ ასეთს შრომას თხოულობს. ხალხთა საეკონომიო დამოკიდებულებაც ჰღაღადებს, რომ ერთის ერის შრომა მეორისას არ უნდა სთრგუნავდესო. საყოველთაო ბედნიერება მაშინ არსდება, როცა თითოეული შრომა კერძოდ და ყველასი საერთოდ ჰარმონიულად მოთავსებულია. მეცნიერებამაც დაასკვნა, რომ კაცობრიობის საეკონომიო ცხოვრება საერთო სიყვარულზედ უნდა დამყარდესო. ახლა საანბანო ჭეშმარიტად გარდიქცა ის მოძღვრება, რომელიც ამბობს, რომ ეგრედ წოდებული ცილაობა საეკონომიო მოედანზედ ლაღად არ უნდა პარპაშებდეს და ამ ცილაობის სილაღეს საზღვარი უნდა დაედოსო. მარტო უსულო და უგულო თანხის პატრონი წინ ეღობება ამ მოძღვრებას, რომელსაც თვით სახელმწიფოც მფარველობას უწევს. ხოლო სომხების საეკონომიო მოღვაწეობა და ენერგია ასეთის ხასიათისა და მიმართულებისა როდია, — ცხოვრების მოედანზედ მათი მოღვაწეობა და ენერგია უფრო ნავარდობა და თარეშობაა, რომლისთვისაც არა არსებობს არც საზღვარი და არც სიმართლე. ამიტომაც იმათს პირადს შრომასა და ენერგიას მეზობელი უფრო უფრთხის და ერიდება. ასეთმა შრომამა და ენერგიამ ვერც მწერლობის გული მიიზიდა, ქება და ხოტბა ვერ მოუპოვა სომხების საეკონომიო ვაჟკაცობას, თუმცა შრომა და ენერგია თავის თავად სანატრელიც არის და საქებარიც.

რასაკვირველია, ჩვენ გვწამს და პატივითაც ვიხსენიებთ იმ ზნეობრივს ძალას, რომელიც მდაბიო სომხის საუნჯეს შეადგენს. ეს ძალა ცხოვრების ქვაკუთხედია და სომხითის ბრწყინვალე და დიდებული წარსულიც ამ ძალამ აღმოაცენა. მერმისიც მხოლოდ ამ ძალამ უნდა შეჰქმნას, დაამყაროს. პირადი შრომა და ენერგიაც ამ ძალისაგან მომდინარეობს, მაგრამ უკეთურება და

რუსეთის იმპერიისა. თითონ სომხებს სიცილად არ ეყოფოდათ, რომ ბერდიჩეველმა ებრაელმა თავისის ერის დროშა გაშალოს ბერდიჩევში და, როგორც აქ, ტფილისში, სომხებმა, იძახოს: ბერდიჩევი ებრაელთა ქალაქიაო. აი ტფილისსა და ავჭალას შუა გერმანელთა ახალშენია, რომელსაც Дальная Колонія-ს ეძახიან, სულ გერმანელნი არიან, მაშ გერმანიას ეკუთვნება, მაშ გერმანია იქნება?

ტფილისი რომელი სომხეთია ან საზღვარ-მდებარეობით, ან ხელმწიფოებით, რომ ასე კადნიერად ჩემულობენ სომხები,—ჩვენიაო? საიდამ სადა? სად სომეხი და სომხეთი და სად ტფილისის ქალაქი? საიდამ სად იწვდიან ხელსა! კიდევ ვიტყვით, აქ მარტო სახლებია სომხებისა, ისიც, ვინ იცის, რამდენად, და არა ქალაქი, რომელიც საქართველოს მიწა-წყალზეა და საქართველოსთან ერთად ეკუთვნის რუსეთსა. აქ სომეხს, როგორც ეროვნებას სომხობისას, კრინტიც არ შეუძლიან დასძრას, სომხის სახელით აქ დროშას ვერ გაშლის და სომხობით ვერ იბატონებს. აქ სომხისა არა არის-რა, აქ ყველანი ტფილისის თანასწორნი მკვიდრნი არიან, განურჩევლად ქართველისა, სომეხისა, რუსისა და სხვისა და სხვისა. აქ ლაპარაკი ქალაქის მკვიდრის სახელით არის მარტო შესაწყნარებელი და არა სომეხისით, და ნამეტნავად სომეხისით, რომელიც აქ ხიზანია და სხვა არა-რა.

აი სად არის იგი სატკივარი, რომელმაც ასე გაამწარა და გააკაპასა დღევანდელი მითქმა-მოთქმა სომხების გამო და რომელმაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ჭკუიანად ცნობილს სომხებს დავთრები აურია და აღარ გაეგებათ, სად რა სთქვან და როგორა სთქვან. რომ მაღა დიდი აქვთ აქაურ სომხებს, ეს არავისათვის არ არის ახალი ამბავი, მაგრამ არც ესე ძლიერ უნდა კაცმა პირი დააღოს, აქაო და მაღა დიდი მაქვსო. ქალაქი ჩვენიაო. ვინ მოგახსენათ? როცა თქვენ ვინმე წამოგედავებათ ამ ქალაქში თქვენდა კუთვნილ სახლებს, მაშინ ამოყავით ჯიბიდამ თქვენი ნასყიდობის სიგელები, გამოგადგებათ. ხოლო როცა ლაპარაკია,—ქალაქი ვისიაო,—მაშინ ეგ სიგელები აბგაში მაგრა შეინახეთ. აქ ის სიგელები უქმი ფარატინაა, იმიტომ-რომ აქ სულ სხვა საბუთი უნდა, რომ ქალაქი ტფილისი თქვენი იყოს, ქალაქი დაიპყროთ, დაიჩემოთ. აქ პოლიტიკური და გეოგრაფიული საბუთი უნდა და არა სიგელი სახლის ნასყიდობისა. ეს იმისთანა საბუთებია, რომ მარტო ოქროთი გატენილი ტომარაც-კი ულონოა ხელთ იგდოს.

ვწუხვართ, რომ სომხების თავდაუჭერელმა საუბარმა იძულებულ გაგვხადა ყოველივე ეს გვეთქვა და არა გვგონია, რომ ყოველი გონებამიხვედრილი სომეხიც ამასვე არა სწუხდეს.

# ახალი ამბავი

⁂ პარასკევს, 21 მარტს, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე ჩამობრძანდა ტფილისში. „თეთრ დუქანთან“ ტფილისის კომენდანტი გენერალ-მაიორი რეიტერი და ადიუტანტები ბ-ნნი აკიმოვი და მიცკევიჩი მიეგებნენ, ხოლო ქალაქის საზღვარზედ—პოლიცმეისტერი ბ-ნი მასტიცკი. მისი აღმატებულება პირდაპირ თავისს სადგომში წაბრძანდა (ბარიათინსკისქუჩაზედ), სადაც იმის სანახავად მოვიდნენ: ოლქის შტაბის უფროსი ბ-ნი შუტლევორტი და ტფილისის გუბერნატორი თავ. შერვაშიძე.

⁂ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელ ბ-ნ ივანენკოსათვის მიუწერია, რომ დაუყოვნებლივ შემატყობინე საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, ქალაქი რა ხარჯს იკისრებს და რამდენს ადგილს დაუთმობს, თუ აქ საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებელის დაარსება გარდასწყვიტა მთავრობამაო.

⁂ როგორც გუბერნიის სამმართველოს საექიმო განყოფილების ცნობებიდგანა სჩანს, 8—15 მარტამდის ტფილისში ქუნთრუშით 12 კაცი გამხდარა ავად და წითელათი 40.

⁂ ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა კრება დანიშნულია დღეს, 23 მარტს, დილის 10 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. ეს კრება მეორედ ინიშნება. პირველად დანიშნული იყო 2 მარტს, მაგრამ გადაიდო, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. ამ მეორე კრებაზედ რამდენიც უნდა მოგროვდეს წევრი, მაინც კანონიერი იქმნება იგი და შესდგება კიდეც.

⁂ ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება დანიშნულია 27 აპრილისათვის. ამ კრებაზედ, ხვათა შორის, უნდა განხილულ იქმნას ანგარიშები ამ საზოგადოების 1896 და 1897 წ. მოქმედებისა; ქუთაისის სათეატრო კომისიის ანგარიში; მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა; არჩევანი გამგეობის ზოგიერთ წევრთა და ზოგიერთ წევრთა და აგრეთვე საზოგადოების წევრებისა.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ნიმუში მე-XII საუკუნის ლიტერატურისა: „ამირან-დარეჯანიანი“ მოსე ხონელისა. წიგნში, თვით ამირან-დარეჯანიანის გარდა, მოქცეულია სხვა-და-სხვა ლეგენდები ამირანის შესახებ, სახალხო ლექსი ამირანზე, ზღაპარი ბადრისა, უსუპისა და ამირანისა, მოხუცთან საუბარი ამირანის შესახებ (თუშური), ამირანი (სვანური). წიგნს ბოლოში დართული აქვს მთელი წინასიტყვაობა თვით გამომცემელისა მოსე ხონელისა და ამირან-დარეჯანიანის შესახებ. წიგნი შეიცავს 400 გვერდზედ მეტს და ჰღირს ერთი მანეთი.

გამომცემელი გვპირდება აგრეთვე ახლო ხანებში გამოცემას „დილარიანისა“ და „რუსუდანიანისას“.

⁂ დღეს, კვირას, 23 მარტს, დილის 12 საათზედ, ბ ნ ვ. ვ. ლუნკევიჩი ტფილისის „კრუჟოკში“ საჯაროდ ლექციას წაიკითხავს ცხოველების შესახებ. კითხვის დროს ლექტორი სხვა-და-სხვა ცხოველის ბუნდოვან სურათებს აჩვენებს დამსწრეთ.

⁂ „კავკასს“ გაუგონია, რომ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს, კოჯორის მოაგარაკეთა თხოვნით, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისათვის უთხოვნია,—იშუამდგომლეთო, რომ კოჯორში ტელეფონი იქმნას გაკეთებულიო.

⁂ „კავკასს“ გაუგონია, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის საფილოქსერო კამ
თვის ნება დაურთავს,—საფ
დგან ვერმორელისაგან 50,
ლოგრამა გოგირდის სიმჟავ
იწერეთ ზემო-ქართლის ფ
რიანი ვენახების მოსაწამლავ

⁂ ქუთაისი. აქ ყველას სა
კო გახდა ერთის პატიმარის
ებში საპატიმროდგან განთ
ლება. საპატიმროს ზედამხე
თანამდებობის აღმასრულებე
მაჩ—ნის 19 მარტს ქუთაისი
მართლოს ბრალმდებელისაგა
რილობა მოუვიდა, რომ ესა
ტუსაღი სასამართლომ გაამარ
პატიმრობისაგან უნდა განთ
ლებულ იქმნასო. ზედამხედვე
უკითხავს თუ არა პატიმრის
მაშინვე განუთავისუფლებია
გრამ შემდეგში აღმოჩნდა, რ
თავისუფლებულს სხვა ბევრ
როტ-მოქმედებაცა ჰბრალ
თურმე და ჯერ-ჯერობით მ
უბრალო საქმეში გაუმართ
და ბრალმდებელის მოწერი
ამ საქმის შესახებ ყოფილა.
გაიხსენეს თურმე ეს პოლი
და ბრალმდებელმაც და გან
ფლებულმა-კი, იცოდა რა, რ
ცდათო, თავს უშველა და
ლაპა, დედამიწამ ველარსად
ათხაზსაო. („ახ. მიმოხ.“)

⁂ სამეგრელო. ჩვენში
ხმა გაავრცელა, რომ აბრ
წრეულს არ უნდა გააჭაჭანო
გან შავის ჭირის გაჩენაა მოს
ნელიო. ერთის სიტყვით, წ
რეშუმის მოვლა აღკრძალულ
ნი მეაბრეშუმე ქალები გა
„რავა ვქნათ, არ ვიცით,
აბრეშუმს მოვუაროთ და მე
გვაყრევინონო“. რასაკვირვე

---

უკუღმართობა მწიკვლს სცხებს ამ ზნეობრივს საუნჯეს.

შინაობაში მდაბიო სომეხი სულ სხვაა, მისი ზნეობა შეულახველი დარჩა. მაგრამ ეს არ ითქმის ვაჭრისა და მრეწველის შესახებ, რომელიც საცილო და სადავო საეკონომიო ასპარეზზედ გამოვიდა. აქ, ამ ასპარეზზედ მისმა შრომამ და ენერგიამ სხვა ხასიათი და მიმართულება მიიღო, ზნეობის გზას ასცდა, თვისი პირვანდელი თვისება დაჰკარგა. სასამართლოს და საპატიმროს დავთრები აშკარად ამტკიცებენ, თუ რა ფასისა და ღირსებისაა ის პირადი შრომა და ენერგია, რომლითაც ასე თავი მოაქვთ, იქადიან. ყალბის ფულის მოჭრა, დაზღვეულის სახლისა და ქონების დაწვა, მატყუარობა, მევახშეობა, უცხოეთიდგან ქურდულად, უბაჟოდ საქონლის ზიდვა და სხ. ამ გვარი „შრომა და ენერგია“ თითქო სომხის კუთვნილებად გარდაიქცა. განზრახ კოტრობას ხომ ვინდა იტყვის. ასეთი კოტრობა თითქო ცხოვრების მცნებად შეექმნა ჩვენებურს სომეხს. მამონის თაყვანისცემა, ბოროტებით სიმდიდრის მოღვეჭა იქამდე გალაღდა და გათა[illegible]ლა, რომ წმიდა გრიგოლ განმანათლებელის ტაძრის სადგურში, ეჩმიაძინის სავანეში, ყალბის ფულის მოჭრა დაიწყეს. და, ჰე, უბედურებავ, ყოვლად პატიოსანი, მხცოვანი, ნეტარ-ხსენებული კათალიკოზი, მისი უწმიდესობა მაკარი, სიკვდილის დროს, გაძარცვეს!... ეს საქმე ახლახან გაირჩა სამოსამართლო პალატაში.

რასაკვირველია, დანარჩენ კავკასიელებსაც სამართლიანად უკიჟინებენ დანაშაულისა და ბოროტ-მოქმედების სიხშირეს, სიმრავლეს. ახლა ამ სოციალურ სენისაკენ არის მიქცეული მთავრობისა და რუსულ მწერლობის ყურადღება, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ არღვევს ჩვენს მთავარს აზრს. საქმე ისაა, რომ სხვა კავკასიელ ერის ბოროტ-მოქმედება არსებითად განირჩევა სომეხ-ვაჭრის დანაშაულისაგან. იქმნება სხვა კავკასიელ ერს უფრო დიდი ბოროტი მიდრეკილება ჰქონდეს, იქნება უფრო მეტს დანაშაულს სჩადიოდეს, მაგრამ აქ საყურადღებო ისაა, რომ სომეხს წილად ჰხვდება უმეტესად ისეთი დანაშაული და ბოროტ-მოქმედება, რომელსაც აზრადა და საგნად ანგაარება და სიმდიდრის მოხვეჭა აქვს. გადაათვალიერეთ სამინისტროს მიერ გამოცემული ცნობები და ცხადად დარწმუნდებით, რომ დამნაშავე და ბრალდებულს სომეხს ამოძრავებს და აქეზებს მამონი და მხოლოდ მამონი. მეცნიერება ამბობს, რომ დანაშაულსა და ბოროტ-მოქმედებას ფესვი საეკონომიო ნიადაგშიაც უდგიაო. მართალია, საეკონომიო ვითარებას გავლენა აქვს დანაშაულისა და ბოროტების გამრავლებაზედ, აღმოცენაზედ, მაგრამ აღსანიშნავი ის არის, რომ სომეხ ვაჭრისა და მრეწველის დანაშაულსა და ბოროტ-მოქმედებას საკუთრივ და ნიშნობლივ მამონის ბეჭედი აზის. ამას ჩვენ საწყენად არ ვამბობთ და რაც ვსთქვით, მხოლოდ იმიტომ, რომ საყურადღებოდ მიგვაჩნია ეს დიაღ თავისებური საპატალოგიო მოვლენა, რომელიც სულ სხვა ნათელს ჰფენს სომხის „პირადს შრომასა და ენერგიას“.

დიაღ, მარტო პირადმა შრომამა და ენერგიამ როდი შეჰქმნა ის სიმდიდრე, რომელსაც გუნდრუკს უკმევენ და მოწიწებით, კრძალვით „ქებათა-ქებას“ უგალობებენ. ამ სიმდიდრის ტაძარი მარტო შრომასა და ენერგიას რომ აეგო, მაშინ ტაძრის წინაშე მწერლობაც მუხლს მოიდრეკდა, რადგანაც შრომა და ენერგია ყველა პატიოსან მწერლისათვის სათაყვანებელი და სადიდებელია. და თუ რუსულმა ჟურნალ-გაზეთობამ დევნა დაუწყო, სხვათა შორის, სომხების „პირადს შრომასა და ენერგიასაც“, ამისი მიზეზი „ტყუილ-კონტრიანცები“ და მათი $K^o$ არის.

ამბობენ, დიაღ შესანიშნავი საეკონომიო ზრდა და წარმატება სომხებისა შეჰქმნა იმათმა კულტურულ ბრძოლამაო. არსებობისათვის ბრძოლის ველზედ სომხები კულტურის, განათლების დროშას წინ იძღოლებენ და ამ წმიდა დროშის სახელით იღვწვიანო. ეგრე რომ იყოს, მაშინ თვით საეკონომიო ზრდასა და წარმატებას სულ სხვა ფერი და ხასიათი ექმნებოდა. აქ რომ მართლა კულტურული ბრძოლა არსებობდეს, მაშინ კულტურის დიდებული დროშა მეზობელსაც, ცოტად მაინც, მადლს მიანიჭებდა, სხივს მიჰფენდა, ნუგეშსა და სასოებას გულში ჩაუნერგავდა. აბა ვინ იქმნებოდი ისეთი უკეთური, რომ ამ დროშის დანახვაზედ ქუდი არ მოეხადა და შებრალება მაინც არ ეთხოვნა. მაგრამ აქ კულტურული დროშა არაფერს შუაშია, თუმცა ვერც ერთი კავკასიელი ერი სომეხს ვერ უკიჟინებს—შენ კულტურა არა გქონია და არც ახლა გაბადიაო.

სომხეთის ისტორია ამტკიცებს, რომ ჩვენს მეზობელ ერს დიაღ შესანიშნავი კულტურა შეუქმნია. თუ სულ არა, ამ კულტურის ცოტაოდენი ნაყოფი საქართველოსაც უგემნია. სომხეთის წარსულ კულტურის ნაშთნი აწინდელ ევროპიელ მეცნიერებისათვის ძიებისა და კვლევის საგნად გარდაიქცა. მაგრამ დიდი ხანია სომხეთმა საპოლიტიკო თვითება დაჰკარგა და აგერ მთელი საუკუნოები მიდის, რაც იგი ოსმალეთის მონობაში იმყოფება. ამ მონობამ ძირს დაამხო სომხეთის კულტურა, თითქმის გააველურა სომხობა და როცა ოსმალეთიდგან გარდმოხვეწილ მდაბიო სომეხს აკვირდებით, იმას მაგრე რიგად კულტურულს ნიშან-წყალს ველარ ამჩნევთ. ჩვენებური სომეხი ხომ იმავე ბედსა და მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორშიაც საზოგადოდ ქართველი, და იმის კულტურას არავითარიმე განსაკუთრებული ღირსება არა ჰქონდა. მაშ თუ ასეა, კავკასიელ სომხობას აბა რა ისეთი კულტურული დროშა ეპყრობა, რომელიც მარტო იმის ეროვნულს საკუთრებას შეადგენდეს... თუ არა-და, განა კულტურულად-კი იბრძვიან?...

უკვე ვთქვით, რომ კულტურის ნიადაგზედ აღმოცენილი საეკონომიო ზრდა სხვა ხასიათისაა. ასეთი ზრდა განათლებისა და სწავლისაგან მომდინარეობს და მხოლოდ მეცნიერების დროშით გამოდის საასპარეზოდ. ამ ზრდას საფუძველი ხალხის გონებითსა და ზნეობითს აღორძინებაში მოეპოვება. სადაც ასეთი გონებითი და ზნეობითი წარმატება მაღლა სდგას, იქ საეკონომიო ზრდაც დიდია. თვით კულტურული ბრძოლა შეუძლიან მხოლოდ ისეთს ხალხს, რომელიც მეცნიერებითა და განათლებით არის აღჭურვილი. ამ ბრძოლის იარაღსაც მეცნიერება და განათლება შეადგენს. სწორედ ასეა საეკონომიო ზრდისა და ბრძოლის საქმე ევროპაში, სადაც მართლა კულტურულად იღვწვიან და არა ბაქიობენ. აიღეთ თუნდა გერმანია. ამ ბოლოს დროს გერმანიამ ლამის არის ინგლისს ხელიდგან გამოსტაცოს საეკონომიო ძლევა-მოსილობის, მეთაურობის დროშა. მაგრამ რა არის ამისი მიზეზი?—დიდად განვითარებული მეცნიერება და სხვა არაფერი. ამას ინგლისელებიც ჰმოწმობენ. აი ასეთი დროშა არის სადიდებელი და საქებარი! მკვიდრი და საშვილიშვილო მერმისიც ასეთს საეკონომიო ზრდასა აქვს. მაგრამ ასეთის ბუნებისაა სომხების საეკონომიო ზრდა და მათი კულტურული დროშა? აბა რომელი ჭკუათა-მყოფელი იტყვის, სწორედ აგეთისააო! მეცნიერება და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა ცრუ ხმაა, ტყუილია და მოჭო-
იებული. ხოლერობის დროსაც სწო-
რედ ასეთი ხმა გაავრცელეს და ბევრს
ოუცდა აბრეშუმი. კარგი იქნება,
რომ სამეგრელოს შეგნებულმა კა-
ცებმა უარ-ჰყონ ადგილობრივ ეს
მა და დააჯერონ მეგრელი ქალები,
რომ აბრეშუმის მოვლა-პატრონო-
ა არც არავისაგან არის აღკრძალუ-
ლი და შავს ჭირს აბრეშუმთან სა-
ავშირო არა აქვს-რა.

*** ტფილისის მოქალაქეს ბ-ნ ალა-
დათოვს ქალაქის გამგეობისათვის
ხოვნა მიურთმევია, რომ საზღვარ-
არეთ ავტომატური (თვით-მოძრავი,
. ი. ისეთი, რომელშიაც ცხენებს
რ აბმენ) ეტლი შევიძინე და ნება
მეცით,—ასეთი ეტლი ტფილისში
ამუშავოო. „ნოვ. ობოზ."-ს სიტ-
ვით, ამ ეტლს გუშინ დაუწყია მუ-
აობა ავლაბრის მოედანსა და ნავთ-
ლუღს შუა; თითო კაცს ორი შაუ-
რი გარდახდება. მომავალში ბ-ნი
ლადათოვი ტფილისსა და თელავს
შუა მოსიარულე მგზავრთათვისაც
გაჰმართავს ასეთს ეტლებს.

*** „ნოვ. ობოზ."-ს გორიდგან
ერთს სამწუხაროსა და მასთანვე გა-
საოცარს ამბავს ატყობინებენ: 1877 წ.
სოფ. რუისში სასოფლო ბანკი
დააარსეს, რომელსაც 3,000 მან. ძირის თანხა ჰქონდა. ამ ბანკმა 1888 წლამდის იცოცხლა და ამ წელს-კი გააუქმეს, რადგან ბანკის კასაში ფული აღარ იყოვო. ეს ასე მოხდა, მაგრამ ეს ბანკი სახელით დღესაც არსებობს, და სასოფლო გამსესხებელ-შემნახველ და სამრეწველო ამხანაგობათა კამიტეტის განყოფილება პეტერბურგში ამ ბანკის გამგეობას მუდამ წელს სთხოვს ბანკის მოქმედების ანგარიშს და გამგეობაც თავის მხრივ ასეთს ანგარიშს ჰგზავნისო. ნუ თუ მართალია ასეთი უცნაური და ძნელად დასაჯერებელი ამბავი?!

გაზ. „კასპს" პეტერბურგიდგან ატყობინებენ დეპეშით, რომ მიწადმოქმედების სამინისტროსთან დაარსებულმა კამისიამ ყარსისა და ბათუმის ოლქში კერძო კაცთა მიერ სახელმწიფო მამულების მითვისების წინაამდეგი ღონისძიებანი უკვე შეიმუშავაო.

*** 20 მარტს მეორე გილდის ვაჭარმა სარქის საფაროვმა მე-2 განყოფილების პოლიციაში განაცხადა, რომ ჩემმა შეგირდებმა—დალინოვმა და არტემ გუკასიანმა ჩემსავე მსახურს ოსიპიანცს თავისს სადგომში, კრუზენშტეინის ქუჩაზედ, ალდანოვის სახლში, სკივრი გაუტეხეს და 25 მანეთად ღირებული სერთუკი, შარვალი და ჟილეტი და 10 მან. ფული მოჰპარესო, და ჩემ სახლოსნოშიაც, გალავინის პროსპექტზედ, მუხრან ბატონის სახლებში, 20 მან. ღირებული სახარაზო იარაღები მოიპარეს და დაიმალნო.

საქმე პირველ განყოფილების გამომძიებელს გარდაეცა გამოსაძიებლად.

*** 21 მარტს, დილის 11 საათზედ, სტატსკი სოვეტნიკმა ალექსანდრე თევდორეს ძე ბუინოვმა, ავჭალის ქუჩაზედ, შახბუდაღოვის სახლში მცხოვრებელმა, გამოუცხადა პოლიციის მეცხრე ნაწილს, რომ ჩემის სადგომის ფანჯრის ღია თვალიდგან ეზოს მხრივ ვიღაცაც გაუტანია: ოქროს საათი მეწკვითურთ და შანათი, რომელსაც ერთ მხარეს აწერია: „ა. ფ. ბუინოვს", ხოლო მეორე მხარეს—„ბარონ ტიზენგაუზენისაგან", სულ 200 მან. ღირებული, ვერცხლის საპაპიროსე, 20 მ. ღირებული, ვერცხლის ჩაჩხა და 9 ცალი საჭმლის კოვზი, რომლებზედაც ამოჭრილია „ვ. ა.", 50 მან. ღირებულიო. ეჭვი მაქვს, რომ ეს ქურდობა უნდა ჩაედინოს ჩემს მზარეულად ნამყოფს ნესტორ ბიჭიაშვილს. გამოძიება სწარმოებს და ბიჭიაშვილსაც დაეძებენ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ეწერი.** (ქვემო იმერეთი), 21 მარტი. აქაური მცხოვრებლების მოთხოვნილებათა ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი აქამდის სიმინდი იყო. ამას დიდი ხანია ფასი დაუვარდა და სარგებლობას აღარ იძლევა. აქაური გლეხი ამბობს: „ეჰ, რაც სარჩოდ მეყოფა, იმდენს მოვიწევ სიმინდს და მეტს აღარც ქმ დავგმებო". სიმინდის მაგიერ, აქაურებმა სხვა და სხვა გვარ შემოსავლიან წარმოებას მოჰკიდეს ხელი: დაიწყეს ხეხილების, მარწყვის და სხვა ბაღეულობის მოვლა-მოშენება და კარგად სარგებლობენ კიდეც. ჩვენებურების ერთს საუკეთესო საწარმოებელ საქმეს მეაბრეშუმეობა შეადგენს. თუმცა ძველის დროიდგან ეწევიან იმერეთში მეაბრეშუმეობას, მაგრამ „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის" წინამძღოლობით ეხლა მაინც, ძლიერ წინ მიდის მეაბრეშუმეობის საქმე.

წელს ორი მოსახლეც არ მოიძებნება თითოეულ სოფელში, რომ მეაბრეშუმეობას არა ჰფიქრობდეს, მაგრამ ერთი საეჭვო განკარგულება ტრიალებს ხალხში, რომელმაც სულ დაუბნია დავთარი: სოფელში ხმა დადის, ვითომც მთავრობა უშლიდეს ხალხს აბრეშუმის მოყვანას შავის ჭირის გამო და ამ ჭორის გამო ხალხი დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი. არ მოიყვანოს აბრეშუმი, უიმისოდ არ ვარგა, მოიყვანოს და, ვაი თუ შემდეგში გამოზრდილი ჭიები გადაგვაყრევინონ და მით ცეცხლზედ ნავთი დაგვასხანო.

საჭიროა, ეს ხმა მოისპოს ხალხში. სანიტარების მოვალეობაა გამოაცხადონ, რომ აბრეშუმის მოყვანას არ უშლიან; ამით ხალხი გულს დაიმშვიდებს და მხნედ მოჰკიდებს ხელს ამ ერთის საუკეთესო დარგის წარმოებას.

ვინა

## სასამართლოს მატიანე

აზნ. არჩილ დიმიტრის ძის მაჭავარიანის საქმე.

ეს საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა გუშინ, 22 მარტს. თავმჯდომარეობდა ა. პ. ფრანცევი, წევრებად იყვნენ ვ. ვ. კარნოვიჩი და ბ-ნი ოპტოვცევი. ბრალმდებელობდა ბრალმდებელის ამხანაგი ადიგეზალოვი. ბრალდებულს ორი ნაფიცი ვექილი იცავდა, გ. ს. ტერ-სტეფანოვი და ა. ს. საყვარელიძე.

გარემოება ამ საქმისა: 26 აპრილს 1892 წლისას შორაპნის მაზრის სოფ. საზანოში თავადი ლევან ივანეს ძე აბაშიძე მოუკლავთ. ამის გამო შემდგარა გამოძიება, მაგრამ ნამდვილი მკვლელი ვერ აღმოუჩენიათ და რამდენისამე ხნის შემდეგ გუმანი მიუტანიათ არჩილ მაჭავარიანზედ. ამ გუმანის მიტანის მიზეზი ის გამხდარა, რომ არჩილ მაჭავარიანი სიძეა ლევან აბაშიძისა და იმისის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობა იმასა რჩებოდაო. ამ გზით დაუწყიათ გამოძიება და რამდენიმე მოწმეც უპოვნიათ, რომელთაც, სხვათა შორის, გაკვრით უთქვამთ, რომ მაჭავარიანს მართლაც ფიქრადა ჰქონდა აბაშიძის მოკვლაო.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ, სადაც პირველად ირჩეოდა ეს საქმე, საკმაო საბუთად ვერ დაინახა მოწმეთა ჩვენებად მაჭავარიანი სრულიად უდანაშაულოდ ჰპოვა. ბრალმდებელი არ დაეთანხმა სასამართლოს ასეთს გარდაწყვეტილებას და საქმე პალატაში გადმოიტანა.

პალატამ, მოისმინა-რა საქმე და ბრალმდებელ-ვექილთა ნალაპარაკევი, ორ საათ ნახევრის თათბირის შემდეგ, დაადგინა: აზნაური არჩილ დიმიტრის ძე მაჭავარიანი დამნაშავედ იქმნას ცნობილი, ყოველივე ღირსება ჩამოერთვას და 15 წლით კატორგაში იქმნას გაგზავნილიო.

მთელი სასამართლოს დარბაზი ავსებით სავსე იყო ხალხით.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** როგორც გაზეთები გვაუწყებენ, ზღვათა მინისტრის ადმირალის ბენარას ბრძანებით, ზღვათა მთავარ საბჭომ პროექტი შეიმუშავა იმის შესახებ, რომ საფრანგეთის სამხედრო ფლოტს 45 დიდი საომარი გემი და 175 ნაღმიანი გემი მიემატოსო. ეს გემები 8 წლის განმავლობაში უნდა გაკეთდეს, რადგან ვერც სახელმწიფო და ვერც გემის მკეთებელი კერძო კაცის ქარხნები ამაზედ უფრო ადრე ვერ მოასწრებენ ასეთს დიდს საქმეს, მაგრამ პირველ ხუთის წლის განმავლობაში ყველა ჯავშნიანისა და ნა-

---

ნათლება სრულიადაც სახსენებელი არც-კია, როდესაც სომხების საეკონომიო ზრდისა და შრომის შესახებ ჰბჭობენ, საუბრობენ.

და აი თუ გნებავთ მაგალითიც. გვიკიჟინებენ, რომ თითქმის მთლად ჩვენ დავიჭირეთ თელავისა და სიღნაღის მაზრებიო. ვთქვათ, ნამდვილად აგრეა, მაგრამ რა შუაშია აქ საეკონომიო ზრდა, კულტურული დროშა? არავისთვის დაფარული არ არის, რომ ამ საეკონომიო გამარჯვების დროს ყოვლად ცნობილი მევახშეობა და ჩარჩობა იბრძოდა და სხვა არაფერი. განათლების ტაძრის შეურაცხება იქნებოდა, რომ აქ მეცნიერება და სწავლა დაგვესახელებინა. მარტო ჭკუით გლახაკი და ღატაკი თუ იფიქრებს, რომ კახეთისა და ქიზიყის ეკონომიურად დამონავება კულტურულ ბრძოლის შედეგიაო. იქაური მევახშე და ჩარჩი—ეს „ტფილისის ფურცლის" ახლად მოვლენილი „კულტურტრეგერი"—გონებით სრულებით მაღლა არა სდგას კახელსა და ქიზიყელზედ და იმისი ზნეობრივი ვინაობა ხომ მოსატანი არც-კია. თუ ასეთმა მედროშემ გაიმარჯვა, ეს ნამდვილი კულტურული ძლევა-მოსილობა-კი არ არის, არამედ ერთ-გვარი საზოგადოებრივი სენია, რომელსაც მკურნალი და დოსტაქარი ესაჭიროება. მაგრამ იქმნება კულტურული ძლევა-მოსილობა ვაჭრობაში მოიპოვება?

ვაჭრობა სომხებს დარჩათო... აქ ახალი არაფერია, ძველადაც აგრე იყო. საქართველოში ვაჭარნი საკუთარსა და განკერძოებულს წოდებას შეადგენდნენ და სამს წყობად განიყოფებოდნენ—დიდებული ანუ დიდი ვაჭარი, მეორე, მესამე. ვაჭრებს საკუთარი წესდებულება ჰქონდათ. იმ დროს საკომერციო განათლება არა არსებობდა და ვაჭრის ხელობაც სპეციალს ცოდნას არა ჰსაჭიროებდა. ამას გარდა, ვაჭრობას მცირე სარბიელი ეპყრა. საქართველოს საეკონომიო ცხოვრება მარტივი იყო, თითქმის ყველაფერი შინ მზადდებოდა და მოიპოვებოდა, სხვა-და-სხვა დარგი მრეწველობისა უფრო „ხელ-საქმობით" სწარმოებდა და ამის გამო ვაჭრობასაც ვერ შეეძლო ფრთები გაეშალა და აღორძინებულიყო. ეს არის მიზეზი, რომ იმ დროინდელი ვაჭრობა კულტურულს ეკონომიურს ფაქტორს არ შეადგენდა.

დრო იცვალა და საქართველოს საეკონომიო თვით-არსებობა მოისპო. რუსეთისა და კერძოდ მოსკოვის საქონელმა დაიჭირა ბაზარი საქართველოში, თუმცა ვაჭრად იგივე სომეხი დარჩა. ისტორიამ ვაჭრობა იმას აკუთვნა და ახლაც ვაჭრობა იმათ ხელშია. თუმცა ჟამთა ვითარების გამო, ვაჭრობას კარი გაეხსნა და მოედანი გაუფართოვდა, მაგრამ სომხის საკომერციო მოღვაწეობას მაინც უკეთესობა ვერ დაეტყო, სომხის სავაჭრო ნიჭს წარმატება ვერ შეემჩნა. ასეთს უკეთესობასა და წარმატებას ჰბადავს მხოლოდ საკომერციო განათლება. მთელის ევროპის ყურადღება ახლა ასეთს განათლებაზედ არის მიპყრობილი. მხოლოდ საკომერციო განათლების წყალობით შესაძლოა ვაჭრობის აღორძინება, მისი ბუნებრივი ზრდა. მაგრამ ჯერ რუსეთშიაც-კი საკომერციო განათლებას თითქმის ფეხი არც-კი აუდგამს და აბა კავკასიელ სომეხს მაგ ბედნიერებას ვინ აღირსებდა. სომეხი ვაჭარი იგივე დარჩა, როგორიც ძველად იყო. თუ უწინ მის სწავლასა აღლისა და სასწორის ხმარება შეადგენდა, ახლაც თითქმის ამ სწავლას არა მოჰმატებია-რა. თვით ტფილისში შეხვდებით არა ერთსა და ორს ისეთს დიდებულს ვაჭარს, აწინდებურად „პირველ გილდიისას", რომელმაც, წერა-კითხვის გარდა, სხვა არა იცის-რა. „მეორე ვაჭარზედ" და ეგრედ წოდებულ ნოქრობაზედ აბა რაღა უნდა ითქვას... მიბძანდით ტფილისის ქარვასლებსა და დახურულ ბაზარში და იქ იხილავთ იმათს საკომერციო უმეცრებას, რომელიც თითქო განგებ ეძებს ამ სიბნელეს და განზრახ უფრთხის სინათლესა...

ამ უმეცრების ბრალია, რომ სომხის ვაჭრობა ახლაც ჩარჩობად დარჩა და აღებ-მიცემობამ თავისი აზრი და მნიშვნელობა ვერ შეიგნო. მარტო ძველ დროს ვაჭრობა შეადგენდა ჩარჩობას და ამიტომაც ეს ხელობა ზოგს ხალხსა და წოდებას სათაკილოდ მიაჩნდათ. ხოლო ახლა ვაჭრობის საგანი სხვა არის,—ვაჭრობა აღიარებულ იქმნა კულტურულ ზრდისა და წარმატების მომქმედათ. ჩვენში, საუბედუროდ, ამ მოქმედებამ არა თუ ხელი არ შეუწყო ხალხის საჭიროებას, მის მოთხოვნილებასა და საზოგადოდ ნივთიერის ცხოვრების გაუმჯობესებას, წარმატებას, არამედ ერთის მხრით უფრო ქვემოდ დასწია მისი კეთილდღეობა. რასაკვირველია, ყველა სომეხ ვაჭრის შესახებ ეს არ ითქმის, მაგრამ აღნიშნული სავაჭრო ცხოვრების სინტეზი მაინც ნამდვილია.

კავკასია ბუნებით მეტად მდიდარია და ყოველ გვარ სამეურნეო და სამრეწველო პირადს შრომასა და ენერგიას აქ შეეძლო აღფრთოვანებულიყო, თუ მართლა სომხობა კულტურულ ბრძოლას ითავებდა და შემოქმედებითს ნიჭს გამოიჩენდა. მაგრამ ასეთი ბრძოლა და ნიჭი, ჯერჯერობით მაინც, სომხობაში არსადა სჩანს. სოფლის მეურნეობა თვით იქაც, სადაც სომხობა ბინადრობს, ძველებურს, მამა-პაპეულს გზას ადგია და წარმატების თითქმის არა დასტყობია-რა. სამეურნეო სფერაში სომეხმა თავი ვერაფრით იჩინა, აქ სამეცნიერო ღონე და ძალა ვერ დაგვანახვა. აწინდელი მისი მეურნეობა არ აღემატება სხვა კავკასიელ ერის მეურნეობას. საზოგადოდ მთელს კავკასიაში ეს მეურნეობა დაბალ წერტილზედ სდგას და ამიტომაც ბოლოს დროს ასეთი დიდი ყურადღება მიაქციეს მეურნეობის წარმატებას. აზრად აქვთ, რაც შეიძლება ბლომად, სამეურნეო სკოლები დააარსონ. რასაკვირველია, სამეურნეო სწავლის გავრცელება ასე დიდად საზრუნველი აღარ იქნებოდა, სომხობა ამ ასპარეზზედ კულტურულის დროშით რომ იბრძოდეს. უეჭველია, სამეურნეო სწავლა თავისს გავლენას იქონიებს და სომეხმა მაშინ იქმნება სხვაზედ დიდი უნარიც გამოიჩინოს, მაგრამ ახლა-კი ამისი თქმა—„მუხათ გვერდელი ბუდაღიანცი სამეურნეო კულტურტრეგერიაო" — ცალიერ უაზრო სიტყვების რახა-რუხს წარმოადგენს და სხვას არაფერს.

ერთი ამბავიც და კიდეც ვათავებთ. ჯერ ისევ ძველ ბერძნებმა აღიარეს, რომ კავკასიის ზოგიერთი სამეურნეო ნაწარმოები დიდად კარგი და მოსაწონიაო. ახალ დროის ევროპიელნი მოგზაურნიც ამასვე ჰმოწმობენ, მაგალითებრ, ცნობილი შარდენი. რასაკვირველია, სომხის საეკონომიო ძლევა-მოსილობასა და კულტურულს დროშას შეეძლო და შემთხვევაც კარგი ჰქონდა, ჯერ ერთი, სამერნეო წარმოება გაეუმჯობესებინა და მეორე კიდევ—ნაწარმოებისათვის ბაზარი ეშოვნა. მისი სამეურნეო ვითარება ხომ ზემოდ აღვნიშნეთ. რაც შეეხება ბაზრის შოვნას, მყიდველი უფრო დაფრთხა. აიღეთ ღვინო. მთელს კახეთს ღვინით ჰქონდა განთქმული სახელი, მაგრამ „კულტურულ ბრძოლამ" ეს ღვინო „კლუკვენის კვასად" აქცია და ამ სახით გაიტანა რუსეთში. ამ სამეურნეო „ფალსიფიკაციის" გამო მთელი წერილი დაიწერებოდა, მაგრამ კმარა. იქნება სთქვან კიდეც—შური და მტრობა ალაპარაკებსო...

ნ. ურბნელი

ღმიანი გემის გაკეთება უთუოდ უნდა მოესწრას. ამ 220 გემის გაკეთებისათვის 600 მილიონი ფრანკია ნაანგარიშევი. ზღვათა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვით მუდამ წელს ამ სამინისტოს 200 მილიონი ფრანკი მეტი უნდა მიეცეს, ვიდრე აქამდის იღებდა. ეს კანონ-პროექტი ამ ახლო ხანს პარლამენტს წარედგინება განსახილველად.

— როგორც ვიცით, ეგრედ წოდებულმა „პანამის საქმემ“ ერთს დროს საფრანგეთში დიდი ალიაქოთი ასტეხა. ამ საქმემ ბევრის წარჩინებულის პუბლიცისტისა, სახელმწიფო მოღვაწეს და სხვა მრავალის სახელი და პატიოსნება იმსხვერპლა. ზოგს ფულის შეჭმა დაჰბრალდა, ზოგს ქრთამის გაცემა და ზოგსაც ქრთამის აღება. ეს საქმე ჯერ კიდევ სრულიად არ გათავებულა და ამ ჟამათაც ამოჰყო ბოლო. საქმე ის არის, რომ იმ საქმის ერთი თვალსაჩინო მომქმედი კაცი, არტონი, საფრანგეთის მთავრობამ მაშინ ვერ ჩაიგდო ხელში, რადგან არტონი ხან სად აფარებდა თავს და ხან სად. შარშან-კი პოლიციამ ინგლისში მიაგნო, სადაც ჩაის ვაჭარი გამხდარიყო და კიდეც დაატუსაღა. მაშინვე გაზეთებში ხმა გავრცელდა, რომ არტონი ბევრს საიდუმლოს გამოამჟღავნებსო, ე. ი. ბევრს დაასახელებს, რომელთაც პანამის საქმეში მონაწილეობა მიუღიათ, მაგრამ აქამდის არავინ იცის, ვინ არიან ისინიო. გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა ვგონებ მართლდება. არტონის საქმეს ამ დღეებში არჩევენ და ხმა დადის, რომ სენატისა და პარლამენტის რამდენსამე დეპუტატს ასახელებს, რომელთაც აქამდის მუდამ პატიოსნება ეკერათ ენაზედ, მაგრამ პანამის საქმეში-კი მონაწილეობა ჰქონიათო. ამასთანავე იმასაც ამბობენ, რომ მელინის სამინისტროს ეს საქმე მოუღებს ბოლოს, რადგან მინისტრები თავზედ ხელს აფარებენ და არ ამჟღავნებენ იმ დეპუტატთა სახელსა და გვარს, რომელნიც სამინისტროს მომხრენი არიანო.

## ნაკვესი

—

ცეცხლის გემზე საუზმის შემდეგ ერთს კაცს მიართვეს ფინჯნით ისეთი მღვრიე რამ, რომ ვერ გაიგო ჩაია, თუ ყავა და ჰკითხა მოსამსახურეს:

— ერთი მითხარ, ეს რა არის?

— მგონია, ჩაი უნდა იყოსო, უპასუხა მოსამსახურემ.

— მაშ კარგი! მაშ ეს ფინჯანი უკანვე წაიღეთ და თუ ჩაია, ყავა მომიტანეთ, და თუ ყავაა, ჩაიო.

**

ერთი მკურნალი სნეულთან მიეშურებოდა. ვიღაც შეხვდა გზაზედ და დაინახა, რომ მკურნალს იდაყვი გამოცვეთილი აქვს. თითით დაანახვა რა მკურნალს გამოგლეჯილი იდაყვი, უთხრა:

— აი სიბრძნე საიდამ გამოიყურებაო!

— და სად შეიყურება სულელობაო, უპასუხა მკურნალმა.

**

ერთს შეგირდს ჰკითხა მასწავლებელმა: აი თეფშზე კუპატია. ვთქვათ, ერთი მესამედი გიორგის მიეცი, მეორე მესამედი პეტრეს და ერთი მესამედიც მე ჩამიდე, შენ რაღა დაგრჩებაო?

— ცარიელი თეფშიო, უპასუხა შეგირდმა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ამას წინად ჩვენს გაზეთში (№ 14) დაბეჭდილი იყო მოკლედ ცნობები ადამიანის ხანგრძლივის სიცოცხლის შესახებ. ამავე საგანზედ ეხლა სხვა რუსულს გაზეთს მეტად საყურადღებო მოჰყავს.

ყველა ქვეყანაში მოიძებნება თითოოროლა ასისა და მეტის წლისაც მოხუცებული კაცი და ქალი. ამ გვარ მოხუცებულთა შესახებ სასტატისტიკო ცნობებს რომ თვალი გადავავლოთ, აღმოჩნდება, რომ საზოგადოდ ღრმად მოხუცებული დედა-კაცი მეტია, ვიდრე მამაკაცი. ამერიკის შტატებში 1890 წელს მომხდარ მცხოვრებთა აღწერიდგანა სჩანს, რომ 100 წლამდე მიუღწევია 3981 ადამიანს; ამათში 2583 დედა-კაცი ყოფილა და 1398 მამა-კაცი. ევროპაში ამბობენ, ეს ციფრები ძნელად დასაჯერებელიაო. ვიდრე ადამიანი 50—60 წელს მიაღწევს, მუდამ უკლებს თავისს წლოვანებას. სულ ერთია, ქალი იქნება იგი თუ კაციო. ხოლო, როგორც 90 წელს მიაღწევს, ეხლა წლოვანებას უმატებს და ამბობს, 100 წელზედ მეტისა ვარო და ამით ხალხი უნდა გააკვირვოს, მიყურეთ, რამდენს ხანს მიცოცხლიაო. გარდა ამისა, ამერიკაში მრავალი განთავისუფლებული ზანგი მონაა, რემელთაც არც-კი ახსოვთ დაბადების წელიწადი. საფრანგეთის მცხოვრებთა აღწერის ციფრები უფრო დასაჯერებელია. 1895 წელს საფრანგეთში ყოფალა ასისა და მეტის წლისა 213 ადამიანი, ამათში 147 დედა-კაცი და 66 მამა-კაცი. ლონდონში, მაგალითად, 1891 წელს ასის წლის ადამიანი ყოფილა 21, ამათში 16 დედა-კაცი და 5 მამა-კაცი. შოტლანდიაში 1894 წელს ასის წლის ადამიანი ყოფილა 21 და აქაც ამ რიცხვიდგან 16 დედა-კაცი და 5 მამა-კაცი. საფრანგეთში ასის წლის 7 დედა-კაცზედ მხოლოდ 3 მამა-კაცი მოდის. ერთს ინგლისელს მეცნიერს შეუკრებია სასტატისტიკო ცნობები და აღმოჩენილა, რომ ასის წლის 43 დედა-კაცზედ მოდის მხოლოდ 23 მამა-კაცი.

ამ გვარად ეჭვი არ არის, რომ დედაკაცი უფრო მეტ ხანსა სცოცხლობს მამაკაცზედ და მათ შორის, შედარებით, უფრო მეტი მიაღწევს ხოლმე ას წელს. რა არის ამის მიზეზი? ჯერ ერთი ის გახლავთ, რომ ქალები განთავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბეგარისაგან და ახალგაზდობის დროს ჯარში სამსახურს არ ალევენ ძალ-ღონეს. გარდა ამისა, ქალი მამა-კაცსავით არ არის იძულებული ლუკმა პურის გულისთვის ისეთს ხელობას დაადგეს, როგორც მაგალითად მადნებში მუშაობაა. ყველა განათლებულ ქვეყნებში აკრძალულია ქალთათვის მძიმე და ჯანსაღობისათვის მავნებელი მუშაობა. თვით დედა-კაცნი, სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, ერიდებიან წრეს გადასულს უწესო ცხოვრებას. საზოგადოდ დედა-კაცი ნაკლებად ეტანება ლოთობას, ვიდრე მამა-კაცი და ვინ არ იცის, რომ ლოთობა ადამიანს სიცოცხლეს უმოკლებს.

ქვრივები და ხანში შესული უქმროდ დარჩენილი ქალები, რომლებიც მთელს სიცოცხლეს გამუდმებულ შრომაში ატარებენ, შედარებით უფრო მეტსა სცოცხლობენ, იმიტომ, რომ ღარიბნი არიან. ვილიამ კლიკერი სწერს: ის ადამიანი, რომელიც ზომიერად სჭამს, სვამს და ნაკლებად ეტანება ყოველ გვარ სიამოვნებას, უფრო მეტსა სცოცხლობსო. თითქმის ყველა ასის წლის მოხუცი ღარიბი ყოფილა და უფრო მეტი სიამოვნება რომ გამოეცადათ, ნაკლებად იცოცხლებდნენო.

მეცნიერის ამ სიტყვებს ამტკიცებს შოტლანდიაში შეკრებილი ცნობები. 1894 წელს შოტლანდიაში 16 დედა-კაცი ყოფილა 105 წლისა, ამათ შორის ორი მათხოვარა ყოფილა, მესამე—მებაღის ქვრივი, დანარჩენი სულ ღარიბები, ზოგი მოსამსახურეს ქვრივი, ზოგი მადნის მუშისა, ზოგი მებაღისა. ხუთივე ასის წლის კაცი, რომელიც იმავე 1894 წელს ყოფილა შოტლანდიაში, ყველანი ღარიბნი აღმოჩენილან. ერთი მწყემსი ყოფილა, მეორე—საქსოვ ქარხნის მუშა, მესამე—მიწის მთხრელი, მეოთხე—მებოსტნე და მეხუთე—მხვნელ-მთესველი.

ამბობენ კიდევ, დედა-კაცი იმიტომ სცოცხლობს უფრო დიდხანს, რომ ადრე ეკიდება ოჯახსაო, ადრე თხოვდებაო. მაგრამ ეს ჯერ საეჭვო არის. ერთს ასის წლის ქალს, სახელად ელიზას ვოსკს ჰკითხეს, თქვენის ფიქრით, რა მიზეზია, რომ ასე დიდხანსა სცოცხლობთო. პასუხი ეს იყო: „იმიტომ, რომ ჩემს სიცოცხლეში არც ჩაი დამილევია, არც ყავა, მაგრამ უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ არ გავთხოვილვარ. ჩემი საბრალო ძმა 101 წლისა გარდაიცვალა, მაგრამ ცოლი რომ არ შეერთო, უფრო დიდხანს იცოცხლებდა. შოტლანდიაში ასის წლის 16 დედა-კაცთა შორის 15 ქვრივი ყოფილა და მხოლოდ ერთი გაუთხოვარი ქალი. ეხლა ეს ვიკითხოთ, თვით ბუნება დედა-კაცისა ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ იგი მეტსა სცოცხლობს მამა-კაცზედ. დიაღ, მეცნიერებს გამოუანგარიშებიათ, რომ საზოგადოდ 40 წლის კაცს (სასტატისტიკო ცნობათა მიხედვით) იმედი უნდა ჰქონდეს 25 წ. და 4 თვეს ვიცოცხლებო; ხოლო 40 წლის დედა-კაცმა-კი უნდა იცოცხლოს 2 წლითა და 2 თვით მეტი მამა-კაცზედ. ვსთქვათ, ამ შემთხვევაში ნაკლების ხნის სიცოცხლის მიზეზი შრომა და ჯაფაა, რომელიც მამა-კაცს ბედმა არგუნა. მაგრამ ყმაწვილებზედაც ხომ იგივე არ ითქმის. ავიღოთ, მაგალითად, ორი ბავშვი ორთავე სქესისა, ერთსა და იმავე დღეს დაბადებული. სასტატისტიკო ცნობათა მიხედვით, 4 წლამდე ქალის სიცოცხლე იმდენად უფრო მეტად არის საიმედო ვაჟის სიცოცხლეზედ, რამდენად 21 მეტია 17-ზედ. ხუთის წლიდგან მოყოლებული-კი 9 წლამდე და 9 წლიდგან 15 წლამდე ვაჟის სიცოცხლე შედარებით უფრო საიმედოა. 15 წლიდგან 20 წლამდე და შემდეგაც უპირატესობა ქალსა ჰრჩება, ასე რომ 20 წლიდგან დაწყებული ას წლამდე ქალის ხანგრძლივი სიცოცხლე თან-და-თან უფრო საიმედო ჰხდება ვიდრე მამა-კაცისა. („ბ. ზ.“)

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მარტი

**ბერლინი.** აქ მოვიდა ნანსენი მეუღლით; მიეგებნენ შვეცია—ნორვეგიის ელჩი ლაგგერეიმი და საგეოგრაფიო საზოგადოების კომიტეტი.

**ბრესლავლი.** გედეიგის მადნებში, ზაბრჟასთან, გაზი აფეთქდა, ცეცხლი გაჩნდა და ექვსი კაცი დაიღუპა, სხვათა შორის მადნის პატრონი და ქიმიკოსი. ცეცხლი ჯერ არ გამქრალა.

**ვენა.** იმპერატორი ვილჰელმი მობრძანდება ვენაში 8 აპრილს და 10 აპრილს დაესწრება ვენის გარნიზონის აღლუმს.

**ვენა.** ბადენის სამინისტრო ერთიანად გადადგა სამსახურიდგან.

**ლონდონი.** კრიტის მახლობლად მყოფმა ადმირალებმა მიჰმართეს ყველამ თავისს მთავრობას და თითოეულმა სთხოვა, გამომიგზავნეთ 50 კაცი და ნახევარი ბატარეიაო.

**კონსტანტინეპოლი.** პორტამ უარი სთქვა კარატეოდორი-ფაშას გაგზავნაზედ ათინაში, რომლისთვისაც საგანგებო მინდობილება უნდა მიეცათ.

**სტოკჰოლმი.** ინჟენერის ნობელის მემკვიდრეებმა სასამართლოში იჩივლეს და განსვენებულის ანდერძის წინააღმდეგ საბუთები წარადგინეს.

პეტერბურგის ბირჟა, 21 მარტი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | —„ | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 209¾ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — | — „ | 101½ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99⅛ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 98¾ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 272½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 242½ |

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ყველამ კარგად იცის მატერიალური მდგომარეობა რუსეთის სტუდენტებისა საზოგადოდ და კერძოდ ქართველებისა. რომ ცოტა ოდნად შევამსუბუქოთ ეს მდგომარეობა, კიევის ქართველ სტუდენტების წრემ განიზრახა გამოსცეს თარგმანები ჩვენი საუკეთესო მწერლობისა რუსულს ენაზედ. ჩვენი ძალა საკმაო არ არის ამ საქმის შესასრულებლად. ამიტომ მივმართავთ საზოგადოებას უმორჩილეს თხოვნით, ნუ დაიშურებენ შრომას და კეთილად დაგვაბოლოვებინონ განზრახვა. ჩვენ ფიქრად გვაქვს გამოვცეთ კრებული შემდეგი შინაარსით: I) Краткій очеркъ исторіи грузинской литературы; II) Грузинскіе беллетристы; III) Грузинсіке поэты; IV) Грузинскіе драматурги. ყოველ მწერალს წინ წაუძღვება მოკლე ბიოგრაფია და შინაარსი იმ თხზულებისა, რომლის ნაწყვეტიც იბეჭდება.

ხელთნაწერი შეიძლება გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кіевъ университетъ св. Владиміра Шіо Читадзе.

კიევის ქართველ სტუდენტების სალიტერატურო წრე.

p. s, ვთხოვთ, სხვა გაზეთებმაც გადაჰბეჭდონ ჩვენი თხოვნა.

## „ივერიის“ ფოსტა“.

**ბ. ნ. ე—ამს:** არ დაიბეჭდება იმ თქმულების თანახმად, რომ „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამადკარგიო“.

**ძ—სი. ბ. გ—ნიას:** თქვენის წერილისა ვერა გავიგეთ-რა. არ დაიბეჭდება.

**სოფ. ბალთას ნ. დ—შვილს:** თქვენი ლექსი „კავკასიონის მთას“ არ დაიბეჭდება.

**პ. ს—ძეს:** რაჭის შესახებს წერილს ვერ დავბეჭდავთ.

**ბ—ში. ნ. გ—ნიას:** დაგვიანებულია.

**შ—ნი. ა. ა—შვილს:** არ დაიბეჭდება.


# განცხადებანი

ტფილისის კრუჟოკი

კვირას, 23 მარტს, წაკითხულ იქმნება პირველი საჯარო ლექცია ვ. ვ. ლუნკევიჩისა ბავშვებისა და მოზარდ ახალგაზდათათვის „ცხოველების ცხოვრებიდგან“. ლექციის კითხვის დროს ლექტორი ბუნდოვანს სურათებს აჩვენებს დამსწრეთ.

დასაწყისი დილის 12 საათზეა.

ბილეთები ისყიდება ბ. ს. მიასნიკოვის მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზედ და ლ. ბ. ხიდეკელთან, გალავინის პრასპექტზედ, კვირას-კი — „კრუჟოკის“ შენობაში. ბილეთების ფასი 20—50 კაპ.

(2—მ.—2)

ყვავილებისა და ხეხილების გასაშენებელი ბაღი

**ქ. ფ. გლავაჩეკისა**

(მდინარე ვერაზე, ხიდის გაღმა, მარჯვნივ) ისყიდება ნამყენი ხეხილები, კვიპაროზისა და მრავალი სხვა მშვენიერი ხეხილი და ბუჩქები.

**თესლეულობის მაღაზიაში,**

გოლოვინის პროსპექტზედ (სახლი დობრჟანსკისა) ისყიდება ახალი თესლები ყვავილებისა და საბოსტნე; უმრავლესი ნაწილი თესლისა საკუთარი ბაღიდგან არის.

(6—86—6)

**გამოვიდა და ისყიდება**

ყველა წიგნის მაღაზიაში ცხოვრება და სასწაულთ-მოქმედება

**სვიმონ მესვეტისა**

გამოცემა წყალ-წმინდის ძმობისა.

**ფასი ერთი შაური**

(3—ნ.—3)

**პატენტ-ბოძებული თვით მოქმედი მანქანა „სიფონია“ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ უფრო კარგად ასხურებს** წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება **დრო და მასალა**



ისყიდება: **ივანე კულიჯანოვის** მაღაზიაში ქ. **თელავს.**

**ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შავერდოვების ქარვასლაში.**

ე. ფ. აუფერმანის საწყობში, **ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ № 117.**

20—ნ.—8)


Дозволено цензурою, Тифлисъ 22-го Марта 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.